



ახალი განათლება

24-30.10.2019


№32 (866) გათვალისწინებული 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2

ლალი ჯალაძე

რას სთავაზობს
სისტემა 2020 წლიდან
უსტატუსო კრედიტის
მასწავლებლებს



3

ლალი ჯალაძე

1300-ს მიწის ერთი –
დღევანდელი მოცემულობით
სქემის მოლოდინში თვალსა და
ხელს შუა გამჭრალი მოტივაცია



მარინა ბანდურაშვილი
ნახიდურის საჯარო სკოლის
სპეცმასწავლებელი

11

ირაკლი თავაძე

ლიპარტიანი
ისტორიული გამარჯვება



4



საქართველოს
განათლების ხარისხის
უზრუნველყოფის
ევროპულ ასოციაციაში
განმეორიანების
ოფიციალური
პროცესი დასრულდა



ახალი ამბები

ირინა აბულაძე ევროკავშირი სკოლის კონსტრუქციას გაეცნო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე**, ჰააგაში, ევროკავშირი სკოლის დირექტორს, **ფრანს ვან დე კერხოფს** და სკოლის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. ჰააგაში ევროკავშირი სკოლაში ევროკავშირი ბაკალავრიატის პროგრამის სკოლამდელ, დაწყებით და საბაზო საფეხურზე 1000-ზე მეტი მოსწავლე ეუფლება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის ევროკავშირი განათლების ხელმძღვანელობას მრავალენოვანი და მულტიკულტურული გარემოში.

შეხვედრაზე განხილულ იქნა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ევროკავშირი სასკოლო განათლების დანერგვის შესაძლებლობები და აქცენტი გაკეთდა მშობლიური ენის, ეროვნული იდენტობის გაძლიერების გზით ევროკავშირი გამოცდილებისა და ღირებულებების დანერგვის უპირატესობაზე, რაც სწორედ ევროკავშირის მიერ აკრედიტებული ევ-

როპული სკოლების კონსტრუქციას წარმოადგენს. ანალოგიური მოდელის სკოლის დაფუძნება, მიმდინარე წლის სექტემბერში, ევროკავშირის მაღალი რანგის ვიზიტის ფარგლებში, დაანონსდა და პროექტს, ევროკავშირთან ერთად, საქართველოს მთავრობა დააფინანსებს.

ევროკავშირი სკოლაში სწავლის შესაძლებლობა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოსწავლეებს მიეცემა. სკოლის სასწავლო გეგმა გაჯერებული იქნება ევროკავშირი კურიკულუმის საკვანძო ელემენტებით და ავტორიზებული იქნება საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ. სწავლის დასრულების შემდეგ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული მოსწავლეები საერთაშორისო ბაკალავრიატის ატესტატს მიიღებენ.

ამისათვის, 2020 წლიდან დაიწყება სკოლის ინფრასტრუქ-

ტურული საპროექტო სამუშაოები, მომზადდება მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები – უცხო ენებში, ტექნოლოგიებსა და პედაგოგიკაში.

17 ოქტომბერს, ჰააგაში, ირინა აბულაძემ საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IB) წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, რომელსაც ევროკავშირის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. განხილულ იქნა ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, მათ შორის მასწავლებელთა წახალისებისა და პროფესიული განვითარების, „ახალი სკოლის მოდელი“ დანერგვის და ტექნოლოგიების ინტეგრირების საკითხები. შეხვედრაზე მხარეები იმ კონკრეტულ ნაბიჯებზე შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოში, მიმდინარე წლის სექტემბერში, ევროკავშირის მაღალი რანგის ვიზიტის ფარგლებში დაანონსებული, ევროკავშირი სკოლის დაფუძნებისა და ხარისხის მართვის მიმართულებით განხორციელდება. ევროკავშირი სკოლა, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ინიცირებული პროექტია და საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა, ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოსწავლეებს ევროკავშირისა და შესაბამისი მთავრობების ფინანსური ხელშეწყობით მიეცემა.

საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციამ გამოთქვა მზაობა, ჩაერთოს საქართველოს განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის, სახელმძღვანელოების ევროკავშირი სტანდარტთან დაახლოებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების მიმართულებით.

2023 სასწავლო წლისთვის, სკოლა ავტორიზებულ რეჟიმში დაიწყებს ფუნქციონირებას და მოსწავლეებს ეტაპობრივად – VII-XII კლასებში მიიღებს. მოსწავლეებს როგორც საქართველოს რეგიონებიდან, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებიდან საერთო საცხოვრებელი მოემსახურება.



საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროკავშირი ასოციაციაში განევრიანების ოფიციალური პროცესი დასრულდა



ერევანში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროკავშირი ასოციაციის – ENQA-ს რიგით მე-10 გენერალური ასამბლეა გაიმართა, სადაც საქართველო, როგორც ასოციაციის წევრი ქვეყანა, ოფიციალურად წარადგინეს. ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) პრეზიდენტმა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წევრობის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 25 აპრილს, ესტონეთში, ტალინში გამართულ, რიგით მე-9 ყოველწლიურ ასამბლეაზე მიიღო. პროცედურის მიხედვით, ცენტრი ასოციაციის წევრად, ოფიციალურად, სწორედ რიგით მე-10 ასამბლეაზე გამოაცხადეს, რასაც ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

„ევროკავშირის უმაღლესი განათლების სივრცეში საქართველოს განვითარების გენერალური ასამბლეაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი და საქართველოს უმაღლესი განათლების ENQA-ში განევრიანების ოფიციალური პროცესი დასრულდა. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა, ნელს, საქართველოს ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია EURAXESS-ში განევრიანება იყო და იმედი მაქვს, ჩვენი მეცნიერები, სტუდენტები ისარგებლებენ ამ შესაძლებლობებით“ – განაცხადა სომხეთის დედაქალაქ ერევანში სამუშაო ვიზიტით მყოფმა **მისიელ ბატიამილიამ**.

EQAR-ის პრეზიდენტმა, **კარლ დიტრიხმა** საქართველოს EQAR-ში განევრიანებას ქვეყნის უმაღლესი განათლების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი უწოდა: „ქართული უმაღლესი განათლებისთვის ეს არჩევულებრივი დღეა, რადგან ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაცია ENQA-სა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების

დამოუკიდებელი სააგენტოების ევროკავშირი რეესტრში, EQAR-ში განევრიანება ნიშნავს იმას, რომ თქვენ ჩვენი საზოგადოების, ანუ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სრულყოფილებიანი წევრი ხართ. ეს უმნიშვნელოვანესია საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარებისთვის. ეს ნიშნავს ახალი ურთიერთობების დამყარებას, განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და სფეროს ევროკავშირი სტანდარტით განვითარებას. ჩვენი ორგანიზაციის წევრობა დიდ შესაძლებლობას აძლევს როგორც საქართველოს, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებსაც.“

გენერალური ასამბლეის ფორმატში ასევე მიმდინარეობდა პანელური დისკუსია, რომელიც ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში ევროკავშირი თანამშრომლობის ღირებულებას რეგიონული პერსპექტივიდან. პანელური დისკუსიაში მონაწილეობდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ეკატერინე ბალიშვილი**.

გენერალური ასამბლეის თემატური პოსტერების სესიაზე პრეზენტაციით წარდგა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ლაშა მარგოვილი**. პოსტერი ეხებოდა ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციების ავტორიზაციის ელექტრონული სისტემის საშუალებით. მისმა გამოსვლამ ევროკავშირი კოლეგების დიდი მონონება და დაინტერესება დაიმსახურა.

ENQA-ში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განევრიანება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციებისა და გაცემული დიპლომების აღიარებას ევროპაში; საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების შეფასების სისტემისადმი სანდოობის მაღალ დონეს; უნივერსიტეტების საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას ევროკავშირი უნივერსიტეტებსა და სამეცნიერ-



რო ინსტიტუტებთან; სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოციაციის შეთანხმებით, ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ეტაპობრივად, დაუახლოვდეს „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს“. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ევროკავშირი მექანიზმებისა და სტანდარტების დანერგვა. ეს ამოცანა უკვე შესრულდა და დღეს საქართველოში მოქმედებს „ევროკავშირი უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან“ (ESG-2015) ჰარმონიზებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის 27 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროკავშირი რეესტრში (EQAR -The European Quality Assurance Register for Higher Education) დარეგისტრირდა — <https://www.eqar.eu/register/agencies/agency/?id=59>

EQAR – ევროპის სახელმწიფოების მთავრობებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ ერთობლივად დაფინანსებული საჯარო ინტერესების დამცველი ევროკავშირი ორგანიზაცია მხარს უჭერს უმაღლესი განათლების სფეროში გამჭვირვალობას და ნდობის ამაღლებას, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში განათლების აღიარებას.



იაკობ გოგებაშვილი და თელაველი სახალხო მასწავლებლები

დიდმა სახალხო განმანათლებელმა, იაკობ გოგებაშვილმა, თავის წიგნში „ბუნების კარი“ ერთ-ერთი თავი „კერძობით განხილვით“ დაასათურა და მასში წარმოადგინა საქართველოს მხარეები. წიგნში საუბარი კახეთის გეოგრაფიული მდებარეობით და ამ მხარეში მცხოვრებთა ყოფის თავისებურებების აღწერით იწყება. ავტორი წერს: „თელავი იყო სატახტო ქალაქი კახეთის მეფეებისა. მის გაშენებაზე ბევრს ზრუნავდა ერეკლე მეფე XVIII საუკუნეში... ეს ქალაქი ძვეს ცივ-გომბორის მთის კალთაზედ აღმოსავლეთის მხრით და ძალიან მაღლობი ადგილი უჭირავს. შორიდან თელავს ქალაქად არ ჩააგდებ და ერთ დიდ ბაღად გეჩვენება. როცა ქალაქში შეხვალ, იმის მიზეზს მაშინ შეიტყობ. მთელი ქალაქი ბაღებით არის მოფენილი, თითქმის ყველა სახლი ცალკე ბაღში სდგას, სადაც ბევრნაირი ხეხილია არიგებ-ჩარიგებული. თელავს მეტად საამური სახე აქვს“.

თელავის დახასიათების შემდეგ იაკობ გოგებაშვილი საუბრობს ამ ქალაქის სამ საგანმანათლებლო კერაზე. ესენია: ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, ოთხკლასიანი სამოქალაქო და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი.

გოგებაშვილი კარგად იცნობდა თელავის საგანმანათლებლო კერებში მოღვაწე პედაგოგებს, ზოგიერთ მათგანთან მეგობრობდა და პედაგოგიურ საკითხებზედაც კამათობდა. ამ მასწავლებელთა შორის უნდა დავასახელოთ თელაველი და, აგრეთვე, თელავში მოღვაწე პედაგოგები: ნიკო მთვარელიშვილი, ივანე როსტომაშვილი, რომანოზ ძამსაშვილი, იგივე „ბ. ვანაძიანი“, დავით ქადაგიძე და ნიკო კურდღელაშვილი.

თელაველი პედაგოგი ნიკო მთვარელიშვილი (1844-1923წწ.) იაკობ გოგებაშვილის იდეების მიმდევარი და თაყვანისმცემელი იყო. 1894 წელს, ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე, მან მიმოიხილა გოგებაშვილის რუსულ ენაზე გამოცემული პატარა წიგნი „ნორმალნოე პისმო“. ქართული წერის ისტორიისა და წერის საკითხებზე ევროპის ქვეყნების მონიშნულ პედაგოგების ნაზრების საფუძველზე იგი დაასკვნის: „სწავლა-განათლების საქმეში თუ კარგ კითხვას აქვს დიდი მნიშვნელობა, არც შროიან და სუფთა წერას უჭირავს ნაკლები ადგილი“. იქვე აღნიშნავს, რომ „დედამისის ზურგზე არ მოიძებნება არც ერთი გონებით განვითარებული ერი, რომელსაც წერის შემოღებისთვის არ დასჭირებოდა დიდი შრომა, არ აღჭურვილიყო მთელის თავისი ძლიერმოსილის გონების იარაღით. მიუხედავად ამისა, ყველა ერს მაინც ერთნაირად ადვილი და სრული ასოები ვერ გამოუგონია თავისი აზრის გამოსახატავად წერილობით“.

„უბრალო მნიშვნელობა არა აქვს, — განაგრძობს რეცენზენტი, — სწავლა-აღზრდის საქმეში იმ გარემოებას, როდესაც ნაწერი და ნაბეჭდი ასო ერთმანეთს ჰგავს, ემსგავსება. ესენი ამ შემთხვევაში ერთმანეთს შევლიან, ეხმარებიან, ხელს უწყობენ და ამის გამო მათი შესწავლა ბავშვებს უადვილდება. შრომით სწორე ხელი სჯობს ირიბულს, როგორც ფეხზე მდგარი ადამიანი სჯობს ნაქცულს“.


ნიკო მთვარელიშვილმა რეცენზიაში მიმოიხილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე პედაგოგების შეხედულებები სწორი და ირიბული წერის შესახებ და აღნიშნა, რომ „ქართული წერის ასოები, როგორც მხედრული, ეგრედვე ხუცური, თავდაპირველად ინერებოდა სწორედ, ამართული სახით. ამგვარი ასოები ქართველებს მარჯვედ უზმარია თავის ისტორიულ ცხოვრებაში, არ შეუბღალავს პირვანდელი, ძირითადი, სწორი, პირდაპირ ამართული, ჩვეულებრივი სახე წერისა შეუმუშავებია, მოუტანია მეცხრამეტე საუკუნის კარამდე გასეტაკებული და გადმოუცია შთამომავლობისთვის დასაცველად და ასალორძინებლად“ (ჟურნალი „მოამბე“, 1894 წ. №2, 164, 165, 169-ე გვერდები).

აღნიშნული წიგნისა და მისი ავტორის მიმართ ნიკო მთვარელიშვილმა ასეთი სურვილი გამოთქვა: „საჭიროდ ვრაცხთ ვისურვოთ, რომ პატივცემულმა ავტორმა ამისთანა წიგნაკებით გააბედნიეროს ქართველი საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულია საპედაგოგო სტატიებისა და წიგნაკების ქართულ ენაზე გამოცემით“.

ნიკო მთვარელიშვილთან ერთად გოგებაშვილს პედაგოგიურ სარბიელზე მხარს უმშენებდა ცნობილი თელაველი პედაგოგი ივანე როსტომაშვილი. ორივე პედაგოგის აზრით, ბავშვის აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხური ზღაპარი. როდესაც იაკობ გოგებაშვილის „პატარა ბიბლიოთეკაში“ ივ. როსტომაშვილმა იხილა ზღაპრები: „მეფე და ხელოსანი“, „ფაშა-მწყემსი“, ესიამოვნა და იქვე ამ პატარა წიგნის დანიშნულებაზე მიუთითა: „...ეს პირველი დანყება უფ. გოგებაშვილისა ძლიერ კეთილი დანყება და განზრახვა ჩვენში... მისცეს მკითხველს სხვადასხვა ცნობა, რითაც მისი ჭკუა-გონება გახსნილი და განვითარებული უნდა იქნეს... აღუძრას მკითხველს მაღალი ზნეობითი გრძობანი“ („ივერია“, 1878 №30, გვ.9).

1896 წელს იაკობ გოგებაშვილმა მოცულობით პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო წიგნი გამოსცა სახელწოდებით „ცხოველები და ფრინველები“. ამ წიგნის შესახებ რეცენზია გამოაქვეყნა თელავში მოღვაწე პედაგოგმა, დავით ქადაგიძემ და დიდ პედაგოგს რამდენიმე შენიშვნაც შეჰპებდა. დავით ქადაგიძე (1861-1937წწ.) საგანმანათლებლო საქმიანობაში საკვირაო სკოლების დამკვიდრების ერთ-ერთი მესვეური იყო. მან, ჯერ კიდევ 1885 წელს, ივანე როსტომაშვილთან, ზაქარია ჩხიკვაძესა და ივანე კოლელიშვილთან ერთად, თელავში გახსნა საკვირაო სკოლა, სადაც მეცადინეობა უსასყიდლოდ ტარდებოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორული ნიმუშებისა და ლექსიკოლოგიური მასალების შეკრებაში. მის მიერ შეილთა, ცნობილ გერმანისტ ნიკო ქადაგიძესთან ერთად, შედგენილმა „ნოვა თუშურ-ქართულ-რუსულმა“ ლექსიკონმა სპეციალისტების დიდი მონონება დაიმსახურა (დაიბეჭდა თბილისში 1954 წელს).

იაკობ გოგებაშვილს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა თელაველ პედაგოგსა და ფრანგულიდან უიულ ვერ-



იაკობ გოგებაშვილი

ნის თხზულებათა მთარგმნელ ნიკო კურდღელაშვილთან (1872-1938წწ.), რომელიც ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა პანკისის ხეობის სოფელ ჯოჯოლოში. მან მოინდომა ქისტებისათვის სკოლაში ბიბლიოთეკის გახსნა და თხოვნით მიმართა იაკობ გოგებაშვილს: „...პანკისის სკოლის ბიბლიოთეკას „წერა-კითხვის საზოგადოებამაც“ შესწირა ყველა თავისი გამოცემული წიგნი. უმორჩილესად მივმართავ, აგრეთვე, თქვენს პატივცემულ ამხანაგობას და ვთხოვ, ნუ დაიშურებენ თავის წვლილს და თავისი გამოცემული წიგნებით დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში, რითაც დიდ ღვაწლს დასდებენ ქართული ენის აღორძინება-გაძლიერებას პანკისის ხეობაში, სადაც ცხოვრობენ: ქისტები, თუშები, ფშავლები, ხევსურები“.

იაკობ გოგებაშვილის თანადგომას ყოველთვის აფასებდნენ თელაველები. როდესაც დიდი პედაგოგი გარდაიცვალა, თელავიდან სამძიმრის უამრავი დეპუტა გაიგზავნა, ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილებამ დაადგინა, რომ დაკრძალვის დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადაინადონ პანაშვიდი, საზოგადოების სამი ულარიბისი მოსწავლე, ყოველწლიურად, გაათავისუფლონ სწავლის ფულის გადასახადიდან მისი ხსოვნის აღსანიშნავად (ი. გოგებაშვილის სახსოვრად, ტფ. 1913წ. გვ.127). მითითებული წიგნის 123-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ თელაველი პედაგოგები: ნ. მთვარელიშვილი, ე. ხელაშვილი, რ. კურდღელაშვილი, ს. ფიცხელაური და სხვები ასეთი შინაარსის დეპუტას გზავნიან თბილისში: „ვეურთებით უგულწრფელეს მწუხარებას ქართველი საზოგადოების ძვირფასს დანაკლისს იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო“. შემდეგი შინაარსის დეპუტაც გაიგზავნა: „თელავის სამასწავლებლო კურსებზე მყოფი სიღნაღის, თელავის და ზაქათალის ოლქის სახალხო სკოლების მოსწავლეები, ქალ-ვაჟნი, ქართველები, რუსები, თათრები უღრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო“; კიდევ: „თელავის სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლები ვიზარებთ სამშობლო ქვეყნის საერთო მწუხარებას გამოჩენილი ქართველისა და უბადლო პედაგოგის ი. გოგებაშვილის დაკარგვის გამო“. ხელს აწერენ: მამინეიშვილი, ჩოლოყაშვილი, ხელაშვილი, ვ. ბარნოვი, ედილაშვილი, მარკოზაშვილი. საერთო მწუხარებას იზიარებს პედაგოგი ნინო გოგნიაშვილი: „საქართველოს უდიდეს მწუხარებას ვუერთებ ჩემი გულის ნუხილს ნამდვილი ქართველი პედაგოგის და პატიოსნის (ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით) დაკარგვის გამო“ (მითითებული წიგნის 118-ე გვ.).

თელაველთა ღრმა პატივისცემა იაკობ გოგებაშვილისადმი შემდგომმა თაობებმაც დააფასეს და აქ გახსნილ პედაგოგიურ ინსტიტუტს (ამჟამად უკვე უნივერსიტეტს) იაკობ გოგებაშვილის სახელი მიაკუთვნეს.



ნიკო მთვარელიშვილი თელავის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად. ფოტო გადაღებულია თელავში, 1877 წელს. პირველ რიგში, მარჯვნიდან მესამე, ზის ვაჟა-ფშაველა; მეორე რიგში, ცენტრში, დგას ნიკო მთვარელიშვილი

მარიან გომბაძე
სსიპ თელავის ერეკლე მეორის სახელობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოსვლილება

MÖVZU/HEYVANLAR QIDANI NECƏ TAPIRLAR

გთავაზობთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ძველი კაპანახის საჯარო სკოლის გუნდის მასწავლებლის, სადათ ყულიევას მიერ ჩატარებულ გაკვეთილს გუნდისმეტყველებაში.

გაკვეთილის მიზანი იყო, გავშვავი გაცნობოდნენ რა გზებით შეუძლიათ ცხოველებს საკვების მოპოვება. „მიზნის მისაღწევად, გაკვეთილის წარმართვის პროცესში, აუდიო და ფოტოგრაფია გამოვიყენე“ – აგზოს სადათ ყულიევა.

Məktəblərdə şagirdin marağını elmə, biliyə artırmaq üçün müəllim düzgün tərtib olunmuş dərs standartlarından istifadə etməlidir. Bəzən müəllim dərsi elə qurur ki, bu dərs şagirdə maraqsız gəlir və passivləşir. Ancaq isini yaxşı bilən müəllimin dərsini səbrsizliklə gözləyirlər.

Təbiət dərsi məktəbdə çox önəmli yer tutur. Belə ki, bu fənn təbiət elminin əlifbasıdır. Çunki biologiya, kimya, fizika, coğrafiya kimi fənlərin giriş hissəsi elə məhz təbiət dərsidir. Müəllim şagirdlərə bu fənni sevdirsə, onlarda sadaladığımız fənlərə də maraq çoxalacaq.

Dərsin planını tutan zaman verilən vaxtın bölünməsi düzgün olmalıdır.

Dərs məqsədi milli tədris planına əsasən şagirdlərin bilik, imkan və bacarığına görə əldə etdiklərini ifadə etməlidir. Dərsin planlaşdırılması zamanı ilkin sətir şagirdin ötnə biliyinin nəzərə alınmasıdır.

Fəallıqlardan istifadə etmək lazımdır/koqnitik sxemlərdən, qrup işlərindən, kouçinq metodlarından, sorgu suallardan və.s

Tədris resurslarından istifadə etmək lazımdır. Bu zaman vizual qavrama çox mühim yer tutur və daha açıq şəkildə uzun müddətli yadda qalır/qrif verilmiş dərsliklər, əyani vəsaitlər (Xəritə, elektron təhsil resursları, koməkçi ədəbiyyat, videoçarxlar, slaydlar və.s).

Dərsin məqsədinin açıqlanması dərsin keyfiyyətli prosesinə mutləkdir. Dərsin məqsədi dərsin əvvəlində açıqlanır, yəni, dərsin birinci fazasında, A fazasında. Dərs məqsədi müəllim

tərəfindən şagirdlərə muxtəlif formada catdirila bilər (Lövhədə yazar, flitçapda göstərər və ya şifahi olaraq catdirar) Eyni zamanda da şagirdlərə bərabər formalaşdırıla bilər.

Dərs məqsədinin açıqlanmasının faydası ondan ibarətdir ki, nəyi oyrənəcəklərini şagirdlər əvvəlcədən bilərlər, buna görə də onlarda dərsə qarşı gözlənti və maraq artır. Bu da şagirdlərin motivasiyasının artmasına, dərs prosesinə daha yaxşı qoşulmasına şərait yaradır.

Dərs məqsədinin açıqlanmasının müəllimə müsbət faydası ondan ibarətdir ki, şagirdlər dərs prosesinə yaxşı qoşulurlar, feallıq və qrup işlərində aktiv olurlar. Sinifi idarə etmək müəllim üçün asan olur və müəllim məqsədinə yaxşı çata bilər.

Bir fenden götürülmüş mövzunun dərs planını açıqlayaq

Təbiət dərsi VI sinif
Mövzu/Heyvanlar qidani necə tapirlar?

Dərsə ayrılmış vaxt müvafiq bölünür

Mən keçən dərsdə şagirdlərə heyvanların necə qidalandığını izah etdim. Yeni dərsi açıqlamadan əvvəl ötnə biliyə nəzər saldim. Şagirdlərə beyin həmləsi fəallığına ötnə tədbir etdim.

Yeni dərsin açıqlanması zamanı göstərdiyimiz bəndlərdən istifadə etdim(fəallıq,ven diaqramı və.s)

MəqsədŞagirdləri Heyvanların qidani necə tapmalarını təffəkkurlərində formalasdırdım və onları bu haqda düşünməyə şövq etdim. Bu fazanı B fazası kimi götürdüm. Yəni, dəriniyə varma.

Sonda 3-2-1 strategiyasından istifadə etdim. Şagirdin nəyi bilmək istədiyini, nəyi öyrəndiyini, nə ilə razılaşmadığını



nəzərə aldim. Bu faza isə C fazası, yekunlaşdırıcı fazadır. Qiymətləndirmə rubikasında da əsasən qiymətləndirmənin 4 prinsipindən istifadə edirəm.

1. Etibarlıq – sənədoğma
 2. Validlik – vəalidduğma
 3. Obiyektivlik – obiyektivduğma
 4. Şəffafliq – gəmətqirvəaləğma
- Yeri gəlmişkən irəlidən gələn fənn və peşə bacarıqları imtahanında müəllimlərə uğurlar arzulamağ istəyirəm. İmtahan zamanı isə verilən suallara tələsmədən, diqqətə konkret və dəqiq cavab vermələrini tövsiyyə edirəm.

SƏADƏT QULIYEVA
Qardabani rayonu, Aşağı Kəpənəkçi icimai məktəbinin müəlliməsi

სამოღელო გაკვეთილი

სამეცნიერო სტატიის განხილვა

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: თალიკო მიქელაძე

საბანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური, კლასი: საშუალო, X

მოსწავლეთა რაოდენობა: 18

გაკვეთილის თემა: სამეცნიერო სტატიის განხილვა (რევაზ სირაძის „დავითიანი და ბიბლია“)

გაკვეთილის ტიპი: ინოვაციური

მიზანი: სამეცნიერო ჟანრის ტექსტის წაკითხვა და შესწავლილ მხატვრულ ტექსტთან დაკავშირება საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვით (მისალწევი ცოდნა და უნარები იხილეთ გეგმაში)

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი (მეთოდები)	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო (წთ)
1	აქტივობა I. „განწყობის შექმნა“ ორგანიზაციული საკითხები. კმაყოფილების გამოხატვა აუდიტორიის მოწყობისა და ყვავილებით სასიამოვნო გარემოს შექმნის გამო. გაკვეთილის მიზნისა და შედეგების მისაღწევი საშუალებების გაცნობა. მიზანი: მოსწავლეებმა იცოდნენ რის გაკეთება ევალუბათ გაკვეთილზე და როგორ შეძლებენ შედეგების მიღწევას. შედეგი: მოსწავლეები მზად არიან შეეჭიდონ აქამდე უცნობი დავალებების შესრულებას.	შექება, ნახალისება, მონონება, მასწავლებლის პრეზენტაცია	მთელი კლასი	ფლიფრარტი გაკვეთილის მიზნის მსვლელობისა და დროის მითითებით	5წთ
2	აქტივობა II. ტერმინების განმარტება – „სამეცნიერო სტილი, მხატვრული სტილი“ დავალბა: გთხოვთ, დააკვირდეთ მასწავლებლის მიერ შედგენილ ასოციაციურ რუკებს, შეარჩიეთ ერთ-ერთი მასასიათებელი და ახსენით როგორ გაიგეთ მისი მნიშვნელობა. მიზანი: გაკვეთილის ძირითადი მიზნის მისაღწევად საფუძვლის შექმნა. შედეგი: ტერმინთა განმარტების გაგებით მოსწავლეებს გაუადვილდებათ შემდგომი აქტივობის შესრულება.	მასწავლებლის პრეზენტაცია, ტერმინების ახსნა ან შესწავლა	ინდივიდუალური	ფლიფრარტი, ასოციაციური რუკები	5წთ

აქტივობა III. სამეცნიერო ტექსტის გაგება, გააზრება, გაანალიზება ინსტრუქცია: გავეცნობით რევაზ სირაძის სამეცნიერო სტატიას „დავითიანი და ბიბლია“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, რუბრიკით – კვლევა, 1985 წელს, მაგრამ აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და დავით გურამიშვილის შემოქმედების გააზრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევად ითვლება. ვიმუშაებთ ოთხ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაგირიგდებათ სამუშაო ფურცლები, ქეისის მეთოდის გამოყენებით, სადაც მოცემულია დავალება ინსტრუქციით. გისურვებთ წარმატებებს. მიზანი: სამეცნიერო ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. შედეგი: მოსწავლეები შეძლებენ დაგეგმილი ცოდნისა და უნარების განვითარებას. დავალბა I ჯგუფისთვის – ქეისი № 1 ინსტრუქცია: გთხოვთ, წაკითხოთ რევაზ სირაძის სამეცნიერო სტატიიდან „დავითიანი და ბიბლია“ ნაწყვეტი, დააკავშიროთ შესაბამის მხატვრულ ტექსტთან. დავალბა II ჯგუფისთვის – ქეისი № 2. ინსტრუქცია: გთხოვთ, წაკითხოთ სამეცნიერო ტექსტიდან ნაწყვეტი და ფსალმუნი 148, 150 „დავითიანიდან“ – „დავით თქვა: აქებდით გლახაკი და მდიდარი“ და დააკავშირეთ დავით გურამიშვილისა და მეცნიერის შეხედულებები. დავალბა III ჯგუფისთვის – ქეისი № 3. ინსტრუქცია: გთხოვთ, წაკითხოთ ნაწყვეტი სამეცნიერო ტექსტიდან და განსაზღვროთ, რამდენად ეფექტურია ნაცნობ საკითხზე მსჯელობა მეცნიერული სტილით. დავალბა IV ჯგუფისთვის – ქეისი № 4. ინსტრუქცია: გთხოვთ, წაკითხოთ ნაწყვეტი სამეცნიერო ტექსტიდან, ამოიცნოთ ავტორისეული დამოკიდებულება.	ახსნა, ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ამონარიდები რევაზ სირაძის სტატიიდან „ბიბლია და დავითიანი“	15წთ	
	მოტივაციის შექმნა				
	ანალიზი, დაკავშირება	ჯგუფური	სამუშაო ფურცლები დავალებითა და ინსტრუქციით		
	ანალიტიკური შედარება	ჯგუფური	სამუშაო ფურცლები დავალებითა და ინსტრუქციით		
	დასკენის გაკეთება	ჯგუფური	სამუშაო ფურცლები დავალებითა და ინსტრუქციით		
	ტექსტის ავტორისეული ხედვის გააზრება	ჯგუფური	სამუშაო ფურცლები დავალებითა და ინსტრუქციით		

სამოქალაქო გაკვეთილი

Table with 5 rows and 5 columns. Columns: Topic, Teacher, Subject, Methodology, Duration. Topics include 'საქმიანობა IV. თეზისის ჩამოყალიბება', 'საქმიანობა V. ქართული სიტყვის ძალა და სილამაზე', 'საქმიანობა VI. „შეფასება“ მინდა მადლობა გადაგიხადოთ', and 'საქმიანობა VII. „საშინაო დავალება“'.

Table with 3 columns: №, ქმის სეფასაჰის კრიტერიუმი, ქულა 0-10. Lists 5 criteria for the 'საშინაო დავალება' task.

Table with 2 columns: ცოდნა (Knowledge) and უნარები (Skills). Lists specific knowledge points and skills related to thesis writing and critical thinking.

შესაბამისობა ესგ ქართ. X.6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება; ქართ. X.7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი ინფორმაცია; ქართ. X.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის ტექსტების ნაკითხვა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა

Table with 4 columns: №, თეზისის შეფასება, დიას, ნაწილობრივ, საჭიროებს გაუმჯობესებას. A rubric for evaluating the thesis.

რეზიუმე

საგანში ახალი ცოდნის შეტანის მიზნით, მათე კლასში, ჩავატარე ინოვაციური გაკვეთილი თემაზე – „სამეცნიერო სტატიის გაცნობა და განხილვა“. ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარება განაპირობა, აგრეთვე, მოსწავლეთა დიდმა ინტერესმა დავით გურამიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმართ. შევარჩიე რეგულაციის საფუძველზე სტატია „დავითიანი და ბიბლია“.

თალიკო მიქაელაძე

საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ახალი აზგაჰი

საფრანგეთის საელჩო ახალ პროგრამებს გამოაცხადებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა და მინისტრის მოადგილემ, ირინე აბულაძემ საქართველოში საფრანგეთის ახალ ელჩთან, დიეგო კოლასთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საელჩოს წარმომადგენლები: კულტურის ატაშე ელიონორ გარნიე, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშე ქეთევან ქურციკიძე, ლინგვისტური და საგანმანათლებლო სფეროს კოორდინატორი დავიდ ტორტრი.

მეხსიერების, რომლებსაც საფრანგეთის საელჩო საქართველოში ახორციელებს. დიეგო კოლასის თქმით, მათი პრიორიტეტი ახალგაზრდების ხელშეწყობაა. შესაბამისად, პროგრამები, ძირითადად, მოსწავლეებსა და სტუდენტებს არის ფოკუსირებული. გარდა ამისა, საელჩოს პროგრამები ფრანგულენოვანი პროფესორებისთვის ტრენინგებსა და მოხილვების გრანტებსაც ითვალისწინებს. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით კი, მეცნიერებისა და კვლევის ხელშეწყობისათვის, ახალი პროგრამების გამოცხადება იგეგმება.

შეხვედრის დასასრულს მინისტრმა აღნიშნა, რომ ფრანგულ უნივერსიტეტებში არაერთი ქართველი ახალგაზრდა იღებს განათლებას. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ მათ ორმაგი ხარისხის პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი ქართულ უნივერსიტეტებში მიეცეთ. მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს მომავალი თანამშრომლობისთვის და კონკრეტული საკითხების დეტალურად განსახილველად მომდევნო შეხვედრებიც დაგეგმეს.



შეხვედრაზე საუბარი აგრეთვე იმ სასტიპენდიო პროგრამაზე...

რჩევები თამარ ბაგოშიძისგან

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის პიროვნების განვითარებას



ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არის პატარა და ჯერ არ არის ჩამოყალიბებული პიროვნება, ის დამოუკიდებელი ინდივიდია. ამის გაცნობიერება მშობლებს ძალიან უჭირთ. 2 წლის ასაკშიც, ბავშვს უკვე ეწყება განცდა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება და აქედან იწყება, სადაც უკვე 3 წლისთვის, მე-ს განცდა. ეს შემთხვევითი არ არის. ამით ბავშვი გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან უკვე გაიგო, რომ ის არ არის, ასე ვთქვათ, თქვენი დანამატი.

ამ პერიოდში ჩვენ ამ მე-ს განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ ისე, რომ არ ჩავახშოთ, მაგრამ ამ მე-ს სხვისი მე-ს გათვალისწინება უნდა ისწავლოს და, აი, აქ არის ჩვენი პრობლემა. ხშირად მშობელი ასე მსჯელობს: მე ვერ შევუზღუდავ თავისუფლებას ჩემს ბავშვს, ამისთვის ვმუშაობ და ამისთვის ვაკეთებ ყველაფერს, რადგან ჩვენ ვერ ვიგებთ რას ნიშნავს თავისუფალი პიროვნების აღზრდა. აი, სწორედ აქედან, ბავშვს რომ თავისი მე აქვს და მან იცის, რომ გავლენას მოახდენს სხვებზე, იწყება მისი ისტერიკები, რაც საზღვრების მოზოგავს. მე, როგორც ინდივიდი, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ვზომავ ჩემს საზღვრებს, სადამდე მოვახერხებ მანიპულაციას. მე განვითარებად პროცესში ვარ, არ მაქვს ნებელობა და როცა არავინ საზღვარს არ მიწესებს, ჩემი ტვინი ვერ იგებს როგორ მოახერხოს იმპულსის შეკავება, გადავადება და სხვა ადამიანის გათვალისწინება.

ბავშვს არ უნდა ავუკრძალოთ გარემოს გამოძიება. უსაფრთხო გარემოს შექმნით მას უნდა მიეცეთ თავისუფლება. ეს არის დასაბამი კომპეტენტურობის განცდის, რომ მას შეუძლია დაბრკოლების გადალახვა თვითონ, თქვენი დახმარების გარეშე. მას შეუძლია მიზნის მიღწევა. მაგრამ ამას მეორე მხარეც აქვს. მე, როგორც ეგოცენტრული არსება, ვერ ვითვალისწინებ თქვენს აზრს, მე ჩემი მოთხოვნები მაინტერესებს. შესაბამისად, თუ თქვენ ყოველთვის დააკმაყოფილებთ ჩემს მოთხოვნებს, ყოველგვარი პირობების გარეშე, ჩემი ტვინი ვერ ისწავლის ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანების გათვალისწინებას, სხვისი პოზიციის გაგებას, ეს თვისება კი

საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ ბავშვი გაიზარდოს თავისუფალ ადამიანად და პატივი სცეს სხვის თავისუფლებას, სხვის პოზიციას, ეს არის აღზრდის მთავარი საკითხი. არც საბავშვო ბაღში და არც ოჯახში, ძირითადად, ამას ყურადღება არ ექცევა. ჩვენ უფრო შემეცნებით განვითარებას ვაქცევთ ყურადღებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი. მისი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის და შემდგომი განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მის ემოციურ განვითარებას, ემოციურ რეგულაციას და მისი ქცევის თვითრეგულაციის განვითარებას. ჩვენ არ ვაძლევთ თავისუფლებას გარემოს გამოძიებაში, ექსპერიმენტების ჩატარებაში იმიტომ, რომ ჩვენ ამის ნერვები არ გვაქვს. რადგან შენც უნდა ჩაერთო და ეს უნდა იყოს ერთობლივი აქტივობები.

6 წლის ასაკი ითვლება სასკოლო მზაობის ასაკად. სკოლისათვის მზაობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ნებელობის განვითარება. **რა არის ნებელობა? მე რაც არ მინდა, ის რომ უნდა გავაკეთო. მე რაც არ მომწონს, ის გავითვალისწინო ვიღაცების გამო. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც რეალურად ასე ვითარდება.** ეს ნიუანსებია მნიშვნელოვანი სკოლაში წასვლისთვის. სხვანაირად ბავშვი საზოგადოებასა და ოჯახში ვერ იფუნქციონირებს, თავის ინტელექტსაც და შესაძლებლობებსაც ვერ გამოამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვამზადებთ ბავშვს ამ პერიოდისთვის, რომ სკოლაში ის დამოუკიდებელი ადამიანი იყოს, თავისი მოთხოვნების ტყვეობაში არ იყოს და, შესაბამისად, შეძლოს ის, რომ მასწავლებლის მოთხოვნა გაიგოს, თავის კლასელებთან ითამაშოს და კონფლიქტი არ მოუვიდეს იმიტომ, რომ მას როგორც უნდა ისე უნდა მოექცნენ ყველა დანარჩენები. **თქვენ თუ აძლევთ ყველაფრის საშუალებას ან, პირიქით, არაფრის უფლებას არ აძლევთ, ეს არ არის ბავშვის პიროვნული განვითარებისთვის სასარგებლო.**

ჩვენ ბავშვს უნდა ვასწავლოთ, რომ თვითონ აიღოს თავისი არჩევანები, თავის ქცევის შედეგზე პასუხისმგებლობა და არა

დედამ, არა მამამ, არა ბებიამ (მთელი ცხოვრება ასეა და ჩვენი საზოგადოება, შესაბამისად, უპასუხისმგებლოა). ეს 3 წლის ბავშვმაც უნდა იცოდეს. მისი ქცევის შედეგი რომ დადგება, ეს მისი არჩევანია და ეს არის თავისუფლება. ამაზე პასუხი თვითონ უნდა აგოს. ჩვენ ვცდილობთ, მის მაგივრად ვიცხოვროთ მთელი ცხოვრება.

უნდა ვიცოდეთ, რაზე ვატიროთ ბავშვები და რაზე არ ვატიროთ, უნდა ვიცოდეთ რა ავუკრძალოთ და რა – არა. უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. სიტუაციიდან გამომდინარე – რას გვინდა, რომ მივალნოთ.

ბალანსის დაცვა შეზღუდვებსა და თავისუფალ მოქმედებას შორის ნებელობის საკითხია, კარგი ნებელობის მქონე ადამიანი ახერხებს დაიცვას თავისუფალი არჩევნის და სხვისი გათვალისწინების ბალანსი და ამას ბავშვობიდან უნდა ვაჩვენებთ ჩვენს შვილებს.

უკონტროლო დრო არასასურველი შედეგებით

ციფრულ მოწყობილობებთან მიჯაჭვულობა 21-ე საუკუნის პრობლემაა იქცა, რომლის წინაშე ხშირად დგებიან ბავშვები და მათი მშობლები. თუმცა, თანამედროვე სამყაროში კომპიუტერის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. მეტიც, ტექნოლოგიების რეალური საჭიროება არსებობს, მათ შორის, სწავლების პროცესშიც. მაგრამ მიზნობრივი დანიშნულების გარეშე, ადამიანები, განსაკუთრებით კი ბავშვები, ხშირად კომპიუტერს ბართოვის მიზნით იყენებენ და, უმატესწილად, არ არის დაცული დროის კონტროლი. შედეგად ისინი მიჯაჭვულნი/დამოკიდებული ხდებიან კომპიუტერზე. კომპიუტერისა და კომპიუტერული თამაშების მომთხვეველი მოხმარება კი გარკვეული სახის პრობლემებს ქმნის. მაგალითად, შეიძლება უარყოფითად აისახოს ბავშვის/მოზარდის ფიზიოლოგიაზე, ფიზიკური მხარაზე – მხედველობაზე ან სხვა ორგანოებზე,

ზე, ასევე, მათ ფსიქოლოგიაზეც, რადგან ამ დროს მოზარდის აზროვნების სფერო გარემოსგან იზოლირებულია და ადამიანებთან კავშირსაც მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით ამყარებენ, რეალურ ცხოვრებაში კი, შემდეგ, კომუნიკაციის დაწყებაზე უჭირთ ადამიანთან.

ნეიროფსიქოლოგი თამარ ბაგოშიძე ამბობს, რომ მშობლები რჩევი-ბისთვის ხშირად მიმართავენ მსგავსი პრობლემებით – როგორ იხსნან შვილები კომპიუტერთან მიჯაჭვულობისგან. მიიჩნევენ, რომ მშობლებმა გარკვეული საზღვრები უნდა დაუწესონ შვილებს ციფრულ მოწყობილობებთან ურთიერთობისას – გააზიარებთ ურთიერთობის გარკვეული წესები.

ნეიროფსიქოლოგის რეკომენდაციები ამ პრობლემის წინაშე მდგომი მშობლებისთვის ასეთია:

უკონტროლო დრო!

ძალიან ხშირად მშობლები არ ანესებენ დროს და ბავშვებს აქვთ სრულიად თავისუფალი გრაფიკი და შეუძლიათ ნებისმიერი გაჯეტის გამოყენება. ხშირად, ეს ძალიან კარგი საშუალებაა მშობლისთვის დროის გამოსათავისუფლებლად. ასევე ხშირად იყენებენ მშობლები კომპიუტერს იმისთვის, რომ ბავშვს საქმელი აჭამონ და ასე რაღაცნაირად მოაგვარონ

კვების პრობლემა. ძილის წინა პერიოდშიც ცდილობენ საქმის გადადევნებას – ბავშვის გაჯეტით დაძინებას. პრინციპში, ეს ყველაფერი შეცდომაა!

ვაკლავთ არასწორ მაგალიტს!

ჩვენ ბავშვებს ვაკეთებინებთ იმას, რასაც თვითონ არ ვაკეთებთ. ხშირ შემთხვევაში, მშობლები თვითონ ვართ მიჯაჭ-

ვული ეკრანებზე ისე, რომ საეკრანო დროის ბალანსი არ გვაქვს დაცული.

წესიანი ყველასთვის!

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია, სახლში არსებობდეს წესები. წესები არა მხოლოდ შვილებისთვის, არამედ მშობლებისთვისაც.

სივრცე გააზიარების გარეშე!

ყველაზე კარგი და სასარგებლო, ამ შემთხვევაში, ე.წ. კომპიუტერული დროის ბალანსის სტრატეგიის გამოყენებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გვაქვს ადგილი და დრო კომპიუტერის და გაჯეტების გარეშე არსებობისთვის. მშობლებისა და ბავშვების საძინებლებში გაჯეტების და ტელევიზორის ადგილი არ არის. უმჯობესია, დრო ერთობლივ აქტივობას დაეთმოს. მაგალითად, სამაგიდო თამაშებს, ნებისმიერი სახის მცირე აქტივობასაც კი, რომელიც ოჯახს ერთობლივად შეკრავს გაჯეტების გარეშე.

ერთობლივი დრო გააზიარებთან!

როცა ჩვენ ბავშვებს ვაძლევთ საშუალებას, რომ ითამაშონ კომპიუტერთან ან უყურონ ფილმებს/მულტფილმებს, სასურველია, ჩვენც მოვქმენით დრო ამისთვის და მათთან ერთად ვუყუროთ იმას, რასაც ჩვენი შვილები უყურებენ. სულ მცირე დრო მაინც გავატაროთ ერთობლივად კომპიუტერთან.

გააზიარების გამოყენება განვითარებისთვის!

კიდევ ერთი მთავარი, რაც უნდა გავაკეთოთ – ბავშვებს უნდა ვასწავლოთ კომპიუტერის გამოყენება არა გართობის მიზნით, არამედ მიზნობრივად იმ დანიშნულებისთვის, რომ მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგეთ.



მთას სკოლისით არავინ ბოვებს, ვით უფრო, განსასვლელის ჟამს

ლალი ჯელიაძე

გასული კვირის ხუთშაბათს პირიქითა ხევსურეთში არსებული ერთადერთი სკოლა-პანსიონი დაინვა. შენობა, ძირითადად, ხის მასალისგან იყო აშენებული, რის გამოც ცეცხლის ჩაქრობა ვერ მოხერხდა და ახლად რეაბილიტირებული სკოლა-პანსიონი ხანძრისგან მთლიანად განადგურდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, შენობიდან მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის გამოყვანა დროულად მოხერხდა. ხანძარმა 8 მოსწავლისა და 6 მასწავლებლის ჩვეული სასწავლო რეჟიმი დაარღვია.

ბუნებრივია, პანსიონში, მოსწავლეთა სიმცირის გამო, ყველა კლასი არ ფუნქციონირებს (მხოლოდ III, VII, IX, X, XI და XII კლასებია). წელს არც პირველკლასელთა მიღება ჰქონიათ, მომავალ წელს კი მათ რიცხვს კიდევ ორი მოსწავლე გამოაკლდება, რადგან სკოლას 2 მეთორმეტეკლასელი ჰყავს. რაც შეეხება მასწავლებლებს, ექვსიდან ოთხი, პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ისტორიის, ინგლისურის, გეოგრაფიისა და ქართულს ასწავლის. დღემდე ვაკანტურია მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლის ადგილი, რადგან პედაგოგი, რომელიც შატაილელ ბავშვებს, ამავე პროგრამით, ოთხი წლის განმავლობაში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას, წელს სხვა სკოლაში გადავიდა. ამ მოცემულობის მიუხედავად, სასწავლო წელი 8 მოსწავლისთვის განსაკუთრებული სიხარულით დაიწყო, რადგან სკოლა-პანსიონის შენობას, მიმდინარე წლის ზაფხულში, სრული რეაბილიტაცია ჩატარდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და პროექტის ღირებულება 160 000 ლარს აღემატებოდა. სამწუხაროა, რომ განახლებულ სკოლის შენობაში მოსწავლეებს ძალიან მცირე დროით მოუწიათ სიარული. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მაყვალა დაიაური** განიცდის, რომ სკოლის შენობაზე საუბარი წარსულ დროში უწევს: „სკოლის შენობა სრულყოფილად იყო რეაბილიტირებული, ყოველმხრივ გამართული ცენტრალური გათბობით თუ სასწავლო რესურსით, ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით. დასაბინია, რომ საუკეთესო პირობები, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს ჰქონდათ, გაცემტვერდა და მთლიანად ფერფლად იქცა. კომპიუტერული ტექნიკაც სულ ახალი შემოტანილი გვექონდა, რომელიც ნინო ზაუტაშვილის დამსახურებით მივიღეთ. ძალიან გვწყდება გული, ყველაფერი რომ დაინვა და მხოლოდ მოგონებად იქცა.“

ბუნებრივია, მომხდარმა ბავშვების განწყობაზე იმოქმედა, თუმცა, როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, მომავლის იმედმა ცუდი განწყობა მალევე დაჩრდილა და ახლა მოლოდინში არიან, როდის დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა, არც ერთი მოსწავლე სხვაგან გადასვლას არ ფიქრობს და ელიან პრემიერ-მინისტრის დანაპირების შესრულებას. ხანძრის შემდეგ გიორგი გახარია, რომელიც წუთში, გაავრცელა ინფორმაცია, რომ შატაილში, დამწვარი სკოლა-პანსიონის სასაცხოვლოდ, ახალი სკოლა აშენდება: „პროექტს მთის განვითარების ფონდი დააფინანსებს. სამშენებლო სამუშაოები, კლიმატური პირობების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადაში დაიწყება, რის შემდეგაც შატაილს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლა ექნება. სკოლის აშენებამდე, სასწავლო პროცესი არ შეფერხდება, მოსწავლეები სხვაგან, დროებით, ალტერნატიულ შენობაში გააგრძელებენ.“

„ხანძარი რომ გაჩნდა, ბავშვები შენობაში იმყოფებოდნენ, სადილის დრო ჰქონდათ, – გვიყვება მაყვალა დაიაური, – საბედნიეროდ, ყველა უვნებელი გადარჩა. ჩვენმა მასწავლებლებმა, როგორც კი დაკავშირდნენ შენიშვნის, მაშინვე დაატოვებინეს ბავშვებს შენობა. ისინი ახლა სხვაგან დროებით გამოყოფილ ფართში აგრძელებენ და არ აშინებთ პირობები, რომელიც მათთვის სახელდახელოდ შეიქმნა. თუმცა, ბუნებრივია, ძალიან სწყდებათ გული, რომ ძალიან ცოტა ხანს მოუწიათ ასეთ გამართულ სკოლაში სიარული. ვერ წარმოიდგენთ, რა გაბარებული და ამყები იყვნენ, ასეთი კარგი სკოლა რომ დახვდათ სექტემბერში.“

ორშაბათიდან სკოლა-პანსიონმა სასწავლო პროცესი ალტერნატიულ შენობაში გააგრძელა, 5 მოსწავლე კი, რომელიც პანსიონურ ცხოვრებაზეა დამოკიდებული, დასაძინებლად, ორ ოჯახში გადაინაწილა, მათგან ორი – დირექტორის სახლში, სამი მოსწავლე კი პროგრამის მონაწილე მასწავლებლის, ნატო კობერიძის ნაქირავებ სახლში იცხოვრებს.

დუშეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელი დავით ოსეფაშვილი, ჩვენთან საუბრისას, ამბობს, რომ ხანძრის მიზეზი უცნობია. სავალალოა, რომ შენობა რამდენიმე წუთში ჩაიფერფლა, ინფრასტრუქტურა სრულად განადგურდა, არადა, ასეთი სკოლების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასეთი მცირე დასახლებების, თითქმის დაცლილი სოფლების გადასარჩენად. ხშირ შემთხვევაში, სწორედ სკოლაა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ვინარჩუნებთ დასახლებას, როგორც გეოგრაფიულ ადგილს. შატაილის შემთხვევაშიც ასეა, ფაქტობრივად, სწორედ სკოლის ხარჯზეა შენარჩუნებული სოფელი.



ლი. მისი აზრით, უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი „მთის კანონია“, რომელმაც მაღალმთიანი მცირემოსახლეობიანი სოფლებში, მეტ-ნაკლებად შეაჩერა მიგრაციის პროცესი.

დავით ოსეფაშვილი: „მიხარია, რომ ძალიან მოკლე დროში ვიპოვეთ გამოსავალი და შევძელით სასწავლო პროცესის გაგრძელება. დიდი მადლობა მინდა ვთქვა პრემიერ-მინისტრის მისამართით, მყისიერი განცხადება მოჰყვა ტრაგედიას. სულ რამდენიმე წუთი იყო გასული, მის პირად გვერდზე დაიდო განცხადება, რომ შატაილს აუშენებენ ახალი ევროპული სტანდარტის სკოლას. ძალიან სწრაფად დამიკავშირდნენ სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს ხელმძღვანელები და მთხოვეს, მიმენოებინა ჩამონათვალი, რა იყო საჭირო ბავშვებისთვის. ფაქტობრივად, პარასკევს და შაბათს ყველაფრის ორგანიზება მოხერხდა. გუბერნატორთან, შალვა კერესელიძესთან ერთად, გადაწყდა, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარემონტებული შენობა სკოლას დროებით სარგებლობაში გადაეცემოდა. ორშაბათს სასწავლო პროცესი უკვე ალტერნატიულ ფართში განახლდა, რომელიც ექვსი ოთახისგან შედგება. სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამმართველომ, პარასკევს და შაბათს, მოსწავლეებისთვის საჭირო რესურსი ჩამოიტანა – წიგნები, რეგულატი, საკანცელარიო ნივთები, მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, ბიბლიოთეკის ნაწილი, რაც აუცილებლად დასჭირდებოდა სასწავლო პროცესის დროს. კვირა დღეს ყველაფერი დაგვალაგეთ და მოვანყვეთ ისე, რომ ორშაბათიდან სასწავლო პროცესი შეუფერხებლად გაგრძელებულიყო. ეს ყველაფერი ერთობლივად შევძელით, რაც პირველ რიგში, ვფიქრობ, სწორი კომუნიკაციისა და დროული რეაგირების შედეგია. ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც ამ პროცესში ჩართო – სამინისტროს, გუბერნატორს, მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ამას, რადგან, შედეგი სახეზეა და შატაილელი მოსწავლეები შეუფერხებლად აგრძელებენ სწავლას.“

რაც შეეხება ხუთი მოსწავლის საცხოვრებელ პირობებს, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ისინი, დროებით, ორ ოჯახში გადაინაწილდნენ, მაგრამ მალე მათ გადასვლასაც უზრუნველყოფენ ალტერნატიულ ფართში. „შევთანხ-

მდით, რომ აუცილებლად დავამონტაჟებთ ცენტრალურ გათბობას. ხანძარს მხოლოდ საქვაბე გადაურჩა, ახლა მას დროებით შენობაში გადავიტანთ და გათბობის პრობლემასაც მოვხსნით. ამის შემდეგ კი, ბავშვებსაც გადავიყვანთ საცხოვრებლად ალტერნატიულ ფართში, ვიდრე ახალი სკოლა აშენდება.“

ნასვლაზე არავინ ფიქრობს, არც მოსწავლე და არც მასწავლებელი. პირიქით, როცა სავარაუდო ვარიანტად განვიხილეთ, დროებით, მათი ბარისახოს სკოლა-პანსიონში ჩამოყვანა, კატეგორიული უარი მივიღეთ მშობლებისგან, მოსწავლეებისგან და მასწავლებლებისგან. ერთსულოვნად გამოთქვეს დროებით გამოყოფილ შენობაში დარჩენის სურვილი. ამბობენ, რომ დაელოდებიან ახალ სკოლას. ასე რომ, შატაილდან ნასვლას არავინ აპირებს, მით უმეტეს პრემიერის განცხადების შემდეგ. იმედია, მალე შევძლებთ მოსწავლეების ახალი სკოლის შენობაში დაბრუნებას.“

ასეთივე განწყობით ელოდება მშენებლობის დაწყებას სკოლის დირექტორიც – „პრემიერი დაგვიპირდა, რომ სკოლა მალე აშენდება, სახელმწიფოც და მთელი საზოგადოებაც მხარში გვიდგას, გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი. ყველა გვეხმარება – შემოაქვთ მერხები, დაფები, პროდუქტი... გვეხმარებიან როგორც კერძო ინიციატივით, ისე მთავრობა. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და დანაპირებიც შესრულდება. მალე აშენდება ახალი სკოლის შენობა, თუ აქაურმა კლიმატმა შეუწყო ხელი. მოგვხსენებთ, აქ მალე ზამთრდება, ამის გამო, არ ვიცი მოეწონება თუ არა წელსვე სკოლის აშენება.“ – ამბობს მაყვალა დაიაური.

იმედია, სტიქიისგან განირჩეულ სკოლას მკაცრი ზამთარი მაინც აღარ განირავს. შატაილის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები კი, თავიანთი შემთავობით, სოფელს ხანძრის ნაკვალევსგან იხსნიან. ამის მაგალითი არაერთხელ გვაჩვენეს, ამ ადამიანების დიდი ძალისხმევით შედეგია სკოლა-პანსიონის შენარჩუნება, თუნდაც ძალიან მცირე კონტინენტით. პატარა შატაილელი ქომაგებისთვის კი, ამ მონაპოვარის დაცვა უმნიშვნელოვანესია, მათთვის უცვლელია მორალური კანონიც, რომ მთას ხალხისთ არავინ ტოვებს, მით უფრო, განსაცდელის ჟამს.

